



დამტკიცებულია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის  
მართვის კომიტეტის მიერ კომიტეტის მე-4 სხდომაზე (31.05.2019)

2017

# ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო

საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული  
სტრატეგია  
თბილისი, 2017



## სარჩევი

მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა ფინანსური განათლების პროგრამებისთვის.....	2
მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები.....	4
1. პროგრამის მიზნების განსაზღვრა.....	4
2. პროგრამის ლოგიკური მოდელის ჩამოყალიბება .....	4
3. ინდიკატორების განსაზღვრა .....	6
4. ინფორმაციის შეგროვება .....	8
მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებები.....	12
დასკვნითი შენიშვნები.....	14
დანართი 1. მონიტორინგის და შეფასების გეგმის ნიმუში პროექტისთვის „ <i>ფინანსური განათლება აჭარის, გურიისა და სამეგრელოს უფროსკლასელობათვის</i> “.....	15
დანართი 2. ლოგიკური მოდელი (ცარიელი ფორმა).....	17
დანართი 3. მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის ინფორმაციის შეგროვების მეთოდების დეტალწერა.....	18
დანართი 4. მონაცემთა ბაზები და დამხმარე ლიტერატურა.....	25
მონაცემთა ბაზები .....	25
დამხმარე ლიტერატურა .....	27



## მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობა ფინანსური განათლების პროგრამებისთვის

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების გზამკვლევს. დოკუმენტი მიმოიხილავს მონიტორინგისა და შეფასების ძირითად ეტაპებს და გვთავაზობს რეკომენდაციებს თითოეული ეტაპის ეფექტურად განხორციელებისთვის. დოკუმენტი ასევე განიხილავს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს, მათი უპირატესობების, ნაკლოვანებებისა და გამოყენების ფორმების გათვალისწინებით.

მონიტორინგისა და შეფასების გზამკვლევი ეფუძნება 2016 წლის ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიას. სტრატეგიის მიხედვით, ფინანსური განათლება არის პროცესი, რომლის შედეგადაც პიროვნებას უკეთ ესმის ფინანსური საკითხების შინაარსი, არსი და რისკები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის, ინსტრუქციებისა და ობიექტური რჩევების საფუძველზე ავითარებს საკუთარ თავში ცოდნას, უნარებს და რწმენას - გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, მიიღოს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, იცის სად წავიდეს დახმარების მისაღებად და განახორციელოს სხვა ეფექტური ქმედებები, რათა გაიუმჯობესოს ფინანსური კეთილდღეობა. სტრატეგიის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლება, რაც, საბოლოო ჯამში, მათი ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მომხმარებლების უფლებების დაცვის წინაპირობა უნდა გახდეს. აღნიშნული მიზნის მიღწევა ცალკეული პროგრამის განხორციელების გზით არის შესაძლებელი; პროგრამების ეფექტიანად განხორციელებისთვის კი აუცილებელია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დანერგვა და მათი რეგულარული გამოყენება.

მონიტორინგი და შეფასება ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ შინაარსით განსხვავებული პროცესებია. მონიტორინგის დროს ხდება პროგრამის შესახებ ინფორმაციის რეგულარული შეგროვება და დამუშავება, რათა გაანალიზდეს პროგრამის უშუალო მიმდინარეობა. მონიტორინგისგან განსხვავებით, შეფასება პროგრამის უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა და ადგენს შესაბამისობას მიღწეულ შედეგებსა და პროგრამის სამიზნე მაჩვენებლებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, მონიტორინგის პროცესში გროვდება ის აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც შემდგომში გამოიყენება პროგრამების შეფასებისთვის.

შეფასება პროგრამის დაწყებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ან პროგრამის დასრულების შემდგომ ხორციელდება, და საჭიროებს ფინანსური განათლების საწყისი დონის შესახებ ინფორმაციის არსებობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური განათლების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამების შეფასება, რიგ შემთხვევებში, არამხოლოდ მოცულობით ადამიანურ და ფინანსურ რესურსთან, არამედ მნიშვნელოვან დაშვებებთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული; ფინანსური განათლება ფინანსური ცოდნის, ფინანსური ქცევისა და ფინანსური დამოკიდებულებების ერთობლიობას წარმოადგენს, და ის მჭიდრო კავშირშია ისეთ გარეშე ფაქტორებთან, როგორცაა ზოგადი განათლების დონე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, და ა.შ. ამრიგად, გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული ფინანსური განათლების სტრატეგიის



ფარგლებში განხორციელებული პროგრამების პირდაპირი და დამოუკიდებელი გავლენის გაზომვა მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ცვლილებაზე<sup>1</sup>. წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს იმ ძირითად საყურადღებო გარემოებებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რათა არ მოხდეს არასწორი დასკვნების გაკეთება.

აკადემიური ლიტერატურის მიხედვით, არსებობს მყარი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ფინანსური განათლების პროგრამებსა და ბენეფიციარების ფინანსური ცოდნისა და დამოკიდებულებების პოზიტიურად ცვლილებას შორის.<sup>2</sup> თუმცა, პირდაპირი და კონკრეტული კავშირის დადგენა ფინანსური განათლების პროგრამებსა და ბენეფიციართა ქცევების საფუძვლიანად ცვლილებას შორის შედარებით რთულია, რასაც შესაბამისი კვლევების შერეული შედეგებიც მოწმობს. ამრიგად, ფინანსური ქცევების პოზიტიურად და საფუძვლიანად ცვლილების მიზნით – რაც ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს – ნაკლებად გამოსადეგია სტანდარტული ინტერვენციები, და რეკომენდირებულია ქცევითი ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინება პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.<sup>3</sup> მაგალითად, ფინანსური განათლების პროგრამის ფარგლებში, მიზანშეწონილია ბენეფიციარებმა უშუალოდ განახორციელონ ესა თუ ის კონკრეტული აქტივობა – მაგალითად, აწარმოონ ოჯახის ბიუჯეტი, დაიწყონ თანხის დაზოგვა ამა თუ იმ ფორმით – რათა მიღებული ცოდნა რეალურ ქცევაში დროულად აისახოს.

სტრატეგიის ფარგლებში, მოსახლეობის ფინანსური განათლების საშუალო დონის ცვლილების გაზომვა ისეთი მასშტაბური კვლევებით არის შესაძლებელი, როგორც 2016 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით განახორციელა<sup>4</sup>. მსგავსი კვლევის განმეორებით ჩატარება 5 წელიწადში ერთხელ იგეგმება. ინდივიდუალური პროგრამების დონეზე კი, ცხადია, უფრო დეტალიზებული, სიღრმისეული, და კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე მორგებული კვლევების ჩატარებაა შესაძლებელი.

<sup>1</sup> Lusardi (2004, 2008), Lusardi and Mitchell (2007), Collins and O'Rourke (2009).

<sup>2</sup> OECD/Financial Literacy and Education Russia Trust Fund, *Improving financial education effectiveness through behavioural economics*, 2013, available from: [https://www.oecd.org/daf/fin/financial-education/TrustFund2013\\_OECDImproving\\_Fin\\_Ed\\_effectiveness\\_through\\_Behavioural\\_Economics.pdf](https://www.oecd.org/daf/fin/financial-education/TrustFund2013_OECDImproving_Fin_Ed_effectiveness_through_Behavioural_Economics.pdf), 16.

<sup>3</sup> Ibid., 27.


<sup>4</sup> NBG/EFSE DF, ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის კვლევა, 2016, იხ. [https://www.nbg.gov.ge/uploads/2016finganat/Financial%20Literacy%20Study\\_GEO.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/2016finganat/Financial%20Literacy%20Study_GEO.pdf)



## მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები

მონიტორინგი და შეფასება ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების მნიშვნელოვანი კომპონენტებია, ამიტომ აუცილებელია პროგრამის დასაწყისშივე დაიგეგმოს შესაბამისი ეტაპები (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები



### 1. პროგრამის მიზნების განსაზღვრა

მონიტორინგის და შეფასების პროცესების მიზანია დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის შედეგები დაგეგმილ სამიზნე მაჩვენებლებს. შესაბამისად, კონკრეტული მიზნების დასახვა აუცილებელია არამხოლოდ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის, არამედ მისი ეფექტიანობის შეფასებისათვისაც.

საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის საბოლოო მიზანს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლება წარმოადგენს. თუმცა, ამ საბოლოო მიზნის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ინდივიდუალური პროგრამების დონეზე მოხდეს კონკრეტული, გაზომადი და რეალისტური მიზნების განსაზღვრა. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რაიონში ფინანსური განათლების თემაზე ჩატარებული ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის დონის ამაღლება 30%-ით, ერთ-ერთ მსხვილ კორპორაციაში ფინანსური განათლების თემაზე ჩატარებული ტრენინგის შედეგად მონაწილეთა დანაზოგების მოცულობის გაზრდა 30%-ით ა.შ.


### 2. პროგრამის ლოგიკური მოდელის ჩამოყალიბება

ლოგიკური მოდელი ერთგვარი სქემაა, რომელიც პროგრამის დაწყებამდე დგება, და რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის ეტაპი, რომელთა გავლაც პროგრამის განხორციელების პროცესში სავარაუდოდ მოხდება (იხ. ლოგიკური მოდელის კომპონენტები დიაგრამაში 2). პროგრამის ლოგიკურ მოდელზე დაყრდნობით, ყალიბდება სამოქმედო გეგმა. დეტალური ლოგიკური მოდელის შედგენა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზნებისთვის:



1. **პროგრამის დაგეგმვისათვის:** ლოგიკური მოდელი გვეხმარება პროგრამის ფარგლებში გავთვალთ მოსალოდნელი ნაბიჯები, დავგეგმოთ კონკრეტული რესურსები, მისაღები შედეგები და ყოველივე ეს პროგრამის მიზნებთან დავაკავშიროთ.
2. **პროგრამის ეფექტიანი მართვისათვის:** ლოგიკური მოდელი გვეხმარება შევიმუშაოთ პროგრამის ბიუჯეტი და სამოქმედო გეგმა, და ვაკონტროლოთ მათი შესრულება.
3. **შიდა კომუნიკაციისათვის:** ლოგიკური მოდელი პროგრამის დასაწყისშივე წარმოაჩენს, თუ რა რესურსებითა და აქტივობებით იგეგმება პროგრამის მიზნების მიღწევა და საშუალებას იძლევა, გადაიხედოს და, საჭიროებისამებრ, დაკორექტირდეს როგორც პროგრამის მიზნები, ისე გამოყოფილი რესურსი.

დიაგრამა 2. ლოგიკური მოდელის კომპონენტები<sup>5</sup>



ლოგიკური მოდელში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

**a. რესურსები**

**რა რესურსებს ვიყენებთ?** აქ ერთიანდება ყველა ის რესურსი, რომელიც პროგრამის განხორციელებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორცაა, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსი.

**b. აქტივობები**

**რა ფორმით ვიყენებთ აღნიშნულ რესურსებს?** აქ ერთიანდება ყველა ის აქტივობა, რომელთა განხორციელებითაც ვიღებთ პროგრამის კონკრეტულ პროდუქტს. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ასეთი აქტივობა შეიძლება იყოს ტრენინგ-მოდულის განვითარება, ტრენინგების გადამზადება, ფინანსური განათლების თემაზე მობილური აპლიკაციების განვითარება და ა.შ.

**c. პროგრამის პროდუქტი/მომსახურება**

**რა პროდუქტს ვქმნით?** ამ ნაწილში მიეთითება ის კონკრეტული პროდუქტი/მომსახურება, რომელიც უნდა შეიქმნას პროგრამის ფარგლებში. მაგალითად, „სკოლა-ბანკის“ პროექტის შემთხვევაში, ეს არის 15-გაკვეთილიანი სასწავლო მოდული და მონაწილე კომერციული ბანკების მიერ განვითარებული საბავშვო ფინანსური პროდუქტები.

**d. შედეგები**

**რა გავლას ახდენს შექმნილი პროდუქტი/მომსახურება პროგრამის მონაწილეებზე?** ამ კომპონენტით განისაზღვრება, და შემდგომ, იზომება, პროგრამის კონკრეტული შედეგები. განსაზღვრული შედეგი შეიძლება იყოს პროგრამაში ჩართული მონაწილეების ფინანსური

<sup>5</sup> OECD/INFE (2013), *ფინანსური განათლების პროგრამების შეფასების დეტალური გზამკვლევი*, გვ. 4. იხ. <https://www.oecd.org/finance/financial-education/49994090.pdf>



ცოდნის დონის ამა თუ იმ მაჩვენებლით ამაღლება, პროგრამის რამდენიმე სამიზნე რეგიონში დანერგვა და ა.შ.

**e. გრძელვადიანი მიზნები**

**რამდენად უწყობს ხელს პროგრამის შედეგები მის გრძელვადიან მიზნებს?** ფინანსური განათლების პროგრამებისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს პროგრამის გრძელვადიანი მიზანი, და შემდეგ შეძლებისდაგვარად გაიზომოს, თუ რამდენად უწყობს ხელს მიღწეული შედეგები პროგრამის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. მაგალითად, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფში ფინანსური განათლების დონის ამაღლებამ მოახდინა თუ არა გავლენა მათ ფინანსურ კეთილდღეობაზე? ფინანსური კეთილდღეობა, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა შინამეურნეობების დანაზოგების მოცულობის ზრდა, გაუმჯობესებული საპენსიო მზაობა და სხვა.

**3. ინდიკატორების განსაზღვრა**

რესურსებისა და აქტივობების განსაზღვრის შემდგომ, უნდა ჩამოყალიბდეს ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც უნდა გაიზომოს შედეგები ლოგიკური მოდელის თითოეული კომპონენტისთვის. ინდიკატორები შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან ხარისხობრივი, მაგრამ აუცილებლად - კონკრეტული და გაზომვადი. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეიძლება იყოს დაბეჭდილი სახელმძღვანელოების, ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ან ტრენინგებზე დამსწრეთა რაოდენობა და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ ლოგიკური მოდელის თითოეულ ეტაპზე ინდიკატორების განსაზღვრა უნდა მოხდეს ცალკეული პროგრამის მახასიათებლებიდან გამომდინარე.



ცხრილი 1. მაგალითი: გორის მოსახლეობისთვის ფინანსური განათლების ტრენინგის პროგრამის ლოგიკური მოდელი და შესაბამისი ინდიკატორები.

	ეტაპი / კომპონენტი	რას ვზომავთ?	ინდიკატორები
მონიტორინგი	რესურსები	ადამიანური რესურსი	<ul style="list-style-type: none"> <li>3 ტრენერი</li> <li>2 წარმომადგენელი საქართველოს ეროვნული ბანკიდან</li> <li>2 წარმომადგენელი ადგილობრივი უნივერსიტეტიდან</li> </ul>
		ფინანსური რესურსი	<ul style="list-style-type: none"> <li>კომიტეტის წევრები - ლ X</li> <li>გარე დონორი ორგანიზაცია - ლ Y</li> </ul>
		მატერიალური რესურსი	<ul style="list-style-type: none"> <li>მასალა 150 ტრენინგისთვის (დაფა, ფურცლები, ა.შ.)</li> <li>საპრეზენტაციო მასალა (.pptx, ვიდეო)</li> <li>კვებისა და სასტუმროს ხარჯები მონაწილეებისთვის</li> </ul>
	აქტივობები	შინაარსი და მიწოდების არხები	<ul style="list-style-type: none"> <li>კურიკულუმის შემუშავება</li> <li>5-საათიანი ტრენინგისთვის სასწავლო მასალის შემუშავება (1 სახელმძღვანელო ტრენერთათვის, 1 სახელმძღვანელო – ბენეფიციარებისთვის, 3 ინფოგრაფიკა)</li> <li>დამხმარე უცხოურენოვანი მასალის თარგმნა და ადაპტირება</li> <li>ტრენინგ მასალების დაბეჭდვა (150 ც.)</li> <li>ტრენინგის შესახსენებელი წერილების დაგზავნა 150 მონაწილესთან</li> <li>Pre და Post ტესტირებების ჩატარება</li> </ul>
	შექმნილი პროდუქტი / მომსახურება	ტრენინგის სრული მოდული	<p>გორში 1-დღიანი ტრენინგი ჩატარდა 120 მონაწილეს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>თითო ტრენინგზე ესწრებოდა 30 ბენეფიციარი</li> <li>სულ ჩატარდა 4 ტრენინგი</li> </ul>
შეფასება	შედეგები	ტრენინგის მონაწილეთა ფინანსური ცოდნა, დამოკიდებულებები და ნაწილობრივ, ქცევები	მაგ., ტრენინგის შედეგად, მონაწილეთა 70%-მა გაიუმჯობესა საკვანძო ფინანსური საკითხების (ინფლაცია, პროცენტი, ა.შ.) ცოდნა.
	გრძელვადიანი მიზნები	ტრენინგის მონაწილეთა ფინანსური ქცევა, ცოდნა და დამოკიდებულები გრძელვადიან პერსპექტივაში	ორი წლის შემდეგ ტრენინგში მონაწილეთა დანაზოგების საშუალო მოცულობა გაიზარდა 25%-ით.





#### 4. ინფორმაციის შეგროვება

ინდიკატორების განსაზღვრის შემდეგ, უნდა შეირჩეს ინფორმაციის შეგროვების მეთოდები. მონაცემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, განსხვავებულია მათი შეგროვების გზებიც. ზოგადად, მონაცემების შეგროვებისათვის ორი ძირითადი მიდგომა გამოიყენება:

- **ექსპერიმენტული მიდგომა** გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას ორი (ან მეტი) ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნობრივი ჯგუფიდან, რომელთაგანაც ერთ-ერთი ჯგუფი ჩართულია ფინანსური განათლების პროგრამაში (მას ზემოქმედების მიმღებ ჯგუფს (treatment group) უწოდებენ), მეორე ჯგუფი კი - არა (ასეთ ჯგუფს საკონტროლო ჯგუფს უწოდებენ). ექსპერიმენტული მიდგომის მიზანია მოხდეს აღნიშნული ჯგუფების ფინანსური განათლების, ქცევისა და დამოკიდებულებების შედარება.
- **არა-ექსპერიმენტული მიდგომა** კი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას მხოლოდ იმ ჯგუფიდან, რომელიც უშუალოდ ჩართული იყო ფინანსური განათლების პროგრამაში. არა-ექსპერიმენტული მიდგომის გამოყენებისას წარმატებით იზომება მოცემულ ჯგუფში ფინანსური განათლების დონის ცვლილება, თუმცა, რთულია გათვალისწინებულ იქნეს გარე ფაქტორების ეფექტი.

აქვე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა ტიპის ინფორმაციის შეგროვებაა საჭირო. გამოყოფენ ინფორმაციის ორ ძირითად სახეს: რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია.

- **რაოდენობრივი ინფორმაცია** - რიცხობრივად წარმოდგენილი, გაზომვით მიღებული, დადასტურებული მონაცემები, რომლებიც ემორჩილება სტატისტიკურ დამუშავებას. რაოდენობრივი მონაცემების მაგალითებია, ფინანსური განათლების ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა, ფინანსური საკითხების ცოდნის მაჩვენებელი (საწყის და ბოლო ეტაპებზე), დანაზოგების მოცულობა, აქტიური საბანკო ანგარიშების მაჩვენებელი და ა.შ.
- **ხარისხობრივი ინფორმაცია** - ინფორმაცია, რომელიც რიცხვებში არ არის გამოსახული, და რომელიც აღწერს ადამიანების გამოცდილებებს, დამოკიდებულებებსა და განწყობებს. ხარისხობრივი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ ფოკუს ჯგუფებიდან, ინდივიდუალური ინტერვიუებიდან და პროგრამის მონაწილეთა დღიურებიდან. ხარისხობრივი ინფორმაციის მაგალითებია, ბენეფიციარების მიერ ფინანსური განათლების პროგრამის სარგებლიანობისა და/ან რელევანტურობის შეფასება; რესპონდენტების ნდობის მაჩვენებელი კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ, და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება საკმაოდ დიდ დროით და ფინანსურ რესურსთანაა დაკავშირებული; ამასთან, ხარისხობრივი მონაცემების დამუშავება, როგორც წესი, პროფესიონალური კვლევითი ორგანიზაციის ჩართულობას მოითხოვს.

რაც შეეხება ინფორმაციის შეგროვების მეთოდებს - ფინანსური განათლების პროგრამების შეფასების მიზნებისთვის გამოყოფენ შემდეგ ძირითად მეთოდებს: ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, გამოცდა/ტესტირება, დაკვირვება, გამოკითხვა, ადმინისტრაციული ინფორმაციის დამუშავება და დღიურების წარმოება. ქვემოთ მოცემულ



ცხრილში წარმოდგენილია თითოეული მეთოდის მოკლე დახასიათება, დანართ 3-ში კი - დეტალური აღწერა. მეთოდებს შორის არჩევანი ფინანსური განათლების პროგრამის სპეციფიკის მიხედვით უნდა გაკეთდეს.



ცხრილი 2. მონიტორინგისა და შეფასების  
ინფორმაციის შეგროვების მეთოდები

მიზნებისთვის

მეთოდი	მეთოდის მოკლე აღწერა	მეთოდის უპირატესობები	მეთოდის ნაკლოვანებები	გამოყენების გზები
<b>ფოკუს ჯგუფი</b>	ფასილიტატორი უსვამს შეკითხვებს ჯგუფის მონაწილეებს, ინიშნავს მონაწილეთა პასუხებს, აკვირდება მათ ქცევას.	იძლევა დეტალურ ინფორმაციას პროგრამის მონაწილეთა განწყობებისა და დამოკიდებულებების შესახებ.	<ul style="list-style-type: none"> <li>ჯგუფურ შედეგებზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ცალკეული ინდივიდების ხედვებმა და დამოკიდებულებებმა;</li> <li>არ გვთავაზობს რაოდენობრივ ინფორმაციას;</li> <li>შედარებით რთულია ადმინისტრირების კუთხით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გამოიყენება, როდესაც მონაწილეთა რაოდენობა მცირეა;</li> <li>მონაწილეებს უწყვეტ ჯგუფური მუშაობა, ჯგუფის თავისებურებები კი თავიდანვე უნდა იქნეს გათვალისწინებული</li> </ul>
<b>ჩადრევილი ინტერვიუ</b>	ინტერვიუები ტარდება პროგრამის მონაწილეებთან, პროგრამაში ჩართულ პირებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუ შეიძლება იყოს სტრუქტურირებული ან ნახევრად-სტრუქტურირებული.	იძლევა დეტალურ ინფორმაციას პროგრამის მონაწილეების, ექსპერტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების განწყობების/ დამოკიდებულებების შესახებ	<ul style="list-style-type: none"> <li>რთულია წარმომადგენლობითი შერჩევის განხორციელება;</li> <li>არ გვთავაზობს რაოდენობრივ ინფორმაციას.</li> </ul>	გამოიყენება, როდესაც მონაწილეთა რაოდენობა მცირეა
<b>გამოცდა/ტესტირება</b>	პროგრამის მონაწილეებისგან ინფორმაციის მიღება მათი ფინანსური ცოდნისა და დამოკიდებულების შესახებ.	<ul style="list-style-type: none"> <li>იძლევა რაოდენობრივ ინფორმაციას</li> <li>მარტივია ადმინისტრირების კუთხით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არ გვთავაზობს ხარისხობრივ ინფორმაციას.</li> </ul>	შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მცირე, ასევე დიდი ზომის შერჩევით
<b>დაკვირვება</b>	მეთოდის მიზანია პირდაპირი და/ან არაპირდაპირი დაკვირვების გზით მონაწილეთა ქცევაზე, ასევე პროგრამის დანერგვაზე ინფორმაციის მიღება.	<ul style="list-style-type: none"> <li>იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა ქცევის შესახებ;</li> <li>იძლევა საშუალებას შემოწმდეს, რამდენად გეგმის მიხედვითა და წარმატებით მიმდინარეობს პროგრამა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეიძლება შეიქმნას პრობლემა დამკვირვებლის ობიექტურობასთან დაკავშირებით.</li> </ul>	გამოიყენება, როდესაც მონაწილეთა რაოდენობა მცირეა
<b>გამოკითხვა</b>	გამოკითხვის მიზანია წინასწარ განსაზღვრულ შეკითხვებზე მონაწილეებისგან პასუხების მიღება. გამოკითხვა შეიძლება იყოს პირისპირი, სატელეფონო, ონლაინ, და ა.შ.	<ul style="list-style-type: none"> <li>იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ დიდი მოცულობის რაოდენობრივი ინფორმაცია;</li> <li>ამასთან, იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა განწყობების/დამოკიდებულებების შესახებ;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დაბალი გამოხმაურების დონე (გამოკითხვაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება) რესპონდენტების მხრიდან.</li> <li>წარმომადგენლობითი შერჩევის განხორციელების სირთულე;</li> <li>სოლიდურ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთანაა დაკავშირებული.</li> </ul>	გამოიყენება, როდესაც მონაწილეთა რაოდენობა დიდია



<p><b>ადმინისტრაციული ინფორმაციის დამუშავება</b></p>	<p>ხდება მეორადი ინფორმაციის დამუშავება, რომელიც გროვდება სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროდან.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იძლევა რაოდენობრივი მონაცემების მიღების შესაძლებლობას;</li> <li>• იძლევა დინამიური/განახლებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას;</li> <li>• ინფორმაციის შეგროვება ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ გვთავაზობს ხარისხობრივ ინფორმაციას მონაწილეთა განწყობების/დამოკიდებულებების შესახებ;</li> <li>• არ გვთავაზობს ხარისხობრივ ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.</li> </ul>	<p>გამოიყენება მასშტაბური პროგრამებისთვის, რომელთა სამიზნე სეგმენტსაც მოსახლეობის ფართო ნაწილი წარმოადგენს.</p>
<p><b>დღიურების წარმოება</b></p>	<p>პროგრამის ბენეფიციარები, ფასილიტატორის მითითებების მიხედვით, რეგულარულად იწერენ გამოცდილებას და შენიშვნებს, რაც პროგრამის მიმდინარეობისას გამოიკვეთა.</p>	<p>იძლევა შესაძლებლობას მივიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა განწყობების/დამოკიდებულებების შესახებ</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ გვთავაზობს რაოდენობრივ ინფორმაციას;</li> <li>• დღიურების წარმოების პროცესმა შეიძლება შეიცვალოს მონაწილეთა ქცევა და შესაბამისად, გაკეთებული დასკვნები არ იყოს სანდო;</li> <li>• შეიძლება ვერ მივიღოთ სრულყოფილი ინფორმაცია (არ მოხდეს დღიურების რეგულარული განახლება მონაწილეთა მხრიდან).</li> </ul>	<p>გამოიყენება მცირე მოცულობის შერჩევების დროს. რაც უფრო მეტი მონაწილეა, მით უფრო რთულდება პროცესის ადმინისტრირება.</p>



## მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გასათვალისწინებელი გარემოებები

ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია ამ სფეროსათვის დამახასიათებელი გარემოებები, კერძოდ:

- **გარე ფაქტორების ანალიზი**

რამდენადაც ფინანსური განათლება კომპლექსური ცნებაა, რთულია შეფასების ერთმა მეთოდმა თანაბარი ეფექტურობით გაზომოს პროგრამის შედეგად შეცვლილი ფინანსური ცოდნა, ქცევა და დამოკიდებულებები. ფინანსური განათლების კომპონენტაგან, ფინანსური ცოდნის ცვლილების გაზომვა შედარებით მარტივია და ამ მიზნისთვის ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტესტირება, გამოკითხვა და ინტერვიუ. განსაკუთრებულ გამოწვევას რესპონდენტების ქცევის პოზიტიურად და საფუძვლიანად შეცვლა და შემდგომ, ცვლილებების გაზომვა წარმოადგენს.

ფინანსური განათლების პროგრამის შეფასების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ის გარე ფაქტორებია, რომლებიც, ფინანსური განათლების პროგრამებისგან დამოუკიდებლად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მომხმარებელთა ფინანსურ ცოდნაზე, ქცევებსა და დამოკიდებულებებზე. ასეთი გარე ფაქტორები შეიძლება იყოს განათლების რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ზოგადი განათლების დონის ამაღლებას; წელიწადის გარკვეულ დროს ბანკების მიერ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა; დისტანციური საბანკო მომსახურების დანერგვა, და ა.შ. აღნიშნული განსაკუთრებით ართულებს მომხმარებელთა ქცევის ცვლილებების გამომწვევი ზუსტი მიზეზების განსაზღვრას. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ პროგრამის მიზნები იყოს კონკრეტული, დროში გაწერილი, რეალისტური და გაზომვადი, და, მხედველობაში მიღებულ იქნას რაც შეიძლება მეტი გარე ფაქტორი.

**მაგალითი:** ერთ-ერთ საწარმოში თანამშრომელთათვის ფინანსური განათლების ტრენინგის დამთავრების შემდგომ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გაუმჯობესდა ტრენინგის მონაწილეთა შორის საკვანძო ფინანსური საკითხების ცოდნა და ამავდროულად, მონაწილეებმა დაიწყეს თანხის დაზოგვა. თუმცადა, აღსანიშნავია ორი გარემოება:

- ა) ტრენინგის პერიოდში თანამშრომელთა საშუალო ხელფასი გაიზარდა;
- ბ) მოცემულ რაიონში წარმოდგენილმა ერთ-ერთმა კომერციულმა ბანკმა დეპოზიტების წახალისების პროგრამა დანერგა, რომელიც ახლად გახსნილ დეპოზიტებზე დამატებით 1.5-2%-ის დარიცხვას ითვალისწინებს.

ასეთ შემთხვევაში, რთულია დადგინდეს უნიკალური კავშირი ფინანსური განათლების პროგრამასა და დანაზოგების გაზრდილ დონეს შორის: დანაზოგების ზრდა შესაძლოა გაზრდილ შემოსავალს ან დეპოზიტებზე აქციას უკავშირდებოდეს.



- **არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობა**

ფინანსური განათლების პროგრამის შეფასების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უახლესი ისტორია და კულტურა, რაც გავლენას ახდენს ფინანსური განათლების სამივე კომპონენტზე, განსაკუთრებით კი - დამოკიდებულებებსა და ქცევებზე.

აღსანიშნავია, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე, გეოგრაფიული მოცემულობის გამო, ფინანსური განათლების პროგრამის მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა შეიძლება რეალურ ცხოვრებაში შეზღუდულად შეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება; მონაწილეებმა შესაძლოა პროექტის დასრულებიდან მალევე დაიწყონ შინამეურნეობის ბიუჯეტის წარმოება, მცირე დანაზოგების გაკეთება, ფინანსური მიზნების დასახვა და სხვა სასარგებლო ფინანსური ქცევების გამოვლინება, მაგრამ შედარებით გაუჭირდეთ ფორმალური ფინანსური პროდუქტების ათვისება და მათი აქტიურად გამოყენება. ამრიგად, მხოლოდ ფორმალური ფინანსური პროდუქტების გამოყენების სიხშირით პროგრამის წარმატების გაზომვა არ მიიჩნევა მართებულად - განსაკუთრებით კი, მოკლევადიან პერსპექტივაში.

- **დროითი ფაქტორის მხედველობაში მიღება**

ფინანსური განათლების პროგრამების შეფასების პროცესში დროით ფაქტორს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ფინანსური ცოდნის, ქცევისა და დამოკიდებულებების ცვლილების წარმატებით გაზომვის მიზნით, სასურველია თითოეული გაიზომოს/შეფასდეს როგორც პროგრამის დასაწყისში, ისე პროგრამის დასასრულს და პროგრამის დასრულებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგაც. უფრო მეტიც, ზოგიერთი პროგრამა შუალედურ შეფასებასაც საჭიროებს.

დროითი ფაქტორის გათვალისწინება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც ჩვენი მიზანი პროგრამის მონაწილეთა ფინანსური ქცევის შეცვლაა, რისთვისაც დროის უფრო დიდი მონაკვეთია საჭირო, ვიდრე უშუალოდ პროგრამისთვის არის გათვალისწინებული.



## დასკვნითი შენიშვნები

მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო ეფუძნება საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიას, და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრატეგიის ფარგლებში დასახული მიზნების წარმატებით მიღწევაში.

მონიტორინგისა და შეფასების სქემების დანიშნულებაა დადგინდეს პროგრამის რეალური შედეგების შესაბამისობა დაგეგმილ სამიზნე მაჩვენებლებთან, და გაკონტროლდეს პროგრამის დანერგვის პროცესი. ამასთან, ეს სქემები საშუალებას გვაძლევს გამოვასწოროთ პროგრამის ხარვეზები და მეტად ოპტიმალურად დავგეგმოთ სამომავლო აქტივობები.

მონიტორინგისა და შეფასების ეტაპები პროგრამის დასაწყისშივე უნდა განისაზღვროს. პირველ რიგში, უნდა მოხდეს პროგრამის მიზნების ზუსტი ფორმულირება, და პროგრამის ლოგიკური მოდელის შედგენა. ამის შემდეგ, უნდა განისაზღვროს, თუ რა ტიპის ინდიკატორებისა და ინფორმაციის მიხედვით უნდა მოხდეს პროგრამის მონიტორინგი და შეფასება. მონაცემების შეგროვებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს თითოეული მეთოდის უპირატესობა და თავისებურება; ამასთან, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს პროგრამის შინაარსი და ფორმა, მონაწილეების რაოდენობა და ა.შ.

ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია ფინანსური განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიური ფაქტორების გათვალისწინებაც; ფინანსურ ცოდნაზე, ქცევაზე და დამოკიდებულებებზე გავლენა შეიძლება მოახდინოს არამხოლოდ ცალკეულმა მიზნობრივმა პროგრამებმა, არამედ სხვა გარე ფაქტორებმაც, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის ქვეთავშია მიმოხილული.



დანართი 1. მაგალითი: მონიტორინგის და შეფასების გეგმის ნიმუში პროექტისთვის „ფინანსური განათლება აჭარის, გურიისა და სამეგრელოს უფროსკლასელობათვის“

მიზანი	ინდიკატორი	ინფორმაციის წყარო	შესაძლო რისკი	პერიოდულობა	პასუხისმგებელი პირი
<b>რესურსები</b>					
<p><u>სახელმძღვანელოს შექმნა:</u></p> <p><u>ტრენინგ-მასალის შექმნა და/ან შესყიდვა:</u></p> <p><u>ტრენერების მოძიება:</u></p> <p><u>პროგრამის მონიტორინგის მოძიება</u></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>1 სახელმძღვანელო და 10 მცირე ბროშურა;</li> <li>1 საერთო პრეზენტაცია ტრენინგისთვის;</li> <li>6 ტრენინგისთვის შემენილი მასალა (დაფები, მარკერები, ა.შ.)</li> <li>6 ძირითადი და 3 სათადარიგო ტრენერის გამოყოფა.</li> <li>1 მონიტორინგის მოძიება.</li> </ul>	<p><b>ძირითადი:</b> სამოქმედო გეგმა</p> <p><b>მეორადი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მიღება-ჩაბარების დოკუმენტები;</li> <li>დაბეჭდილი მასალა;</li> <li>ტრენერებთან და მონიტორთან გაფორმებული ხელშეკრულებები.</li> </ul>	<p>უხარისხო მასალა;</p> <p>დაგვიანებული მასალა;</p> <p>ტრენერების ნაკლებობა.</p>	ერთჯერადი	პროგრამის მენეჯერი; პროგრამის ლოგისტიკის მენეჯერი
<b>აქტივობები</b>					
<p><u>ტრენერთა მომზადება (ToT):</u></p> <p><u>პედაგოგების გადამზადება</u></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>1 ToT-ის ჩატარება 6 ძირითადი და 3 სათადარიგო ტრენერისთვის;</li> <li>ტრენერების მიერ 3 ტრენინგის ჩატარება 3 რეგიონში (ჯამში 20 პედაგოგის გადამზადება).</li> </ul>	სამოქმედო გეგმა;	<p>უამინდობის, სეზონურობის, დღესასწაულების ან სხვა გარემოებების გამო შეიძლება მოხდეს ტრენინგის გადატანა სხვა მუნიციპალიტეტში, ან ჩატარდეს სხვა დროს.</p>	ერთჯერადი	პროგრამის მენეჯერი; ტრენერები; პროგრამის ლოგისტიკის მენეჯერი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი






პროდუქტი					
<p><u>ბენეფიციარ ქალაქებსა და სოფლებში უფროსკლასელობის ფინანსური განათლების პროგრამის ჩატარება (10-შეხვედრიანი ტრენინგი)</u></p>	<p>აჭარის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონების 3 ქალაქსა და 3 სოფელში ჩატარებულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 200-მა მოსწავლემ X-XI კლასებიდან</p>	<p>მონაწილეთა დასწრების მაჩვენებლები;</p> <p>ჩატარებული ტრენინგის მონიტორის დასკვნა.</p>	<p>ყველა მონაწილე არ დაესწრო ტრენინგს;</p> <p>ყველა მონაწილემ არ შეავსო დასწრების ფორმა.</p>	<p>ყველა ტრენინგზე.</p>	<p>პროგრამის მენეჯერი;</p> <p>პროგრამის მონიტორი;</p>
შედეგი					
<p><u>მონაწილეები უკეთ ერკვევიან ფინანსურ საკითხებში</u></p>	<p>ტრენინგის მონაწილეთა 70% ასხვავებს საკრედიტო და სადებეტო ბარათებს;</p> <p>ტრენინგის მონაწილეთა 72%-მა 20%-ით გაიმჯობესა ფინანსური ცოდნის მაჩვენებელი</p>	<p>Pre და post ტესტირება</p>	<p>ზოგიერთი მონაწილე ადრე წავიდა ტრენინგიდან და ვერ დაწერა ტესტირება;</p> <p>ზოგიერთმა მოსწავლე მხოლოდ pre, ზოგიერთმა კი - მხოლოდ post ტესტირება გაიარა.</p>	<p>თითოეული პროგრამისთვის 2 ტესტირება: ერთი - პროგრამის დასაწყისში (pre) და მეორე - პროგრამის დასასრულს (post).</p>	<p>პროგრამის მენეჯერი</p>
გრძელვადიანი მიზანი					
<p><u>ტრენინგის მონაწილეები ზოგავენ ფულს;</u></p> <p><u>გაიზარდა ტრენინგის მონაწილეთა დანაზოგების მოცულობა.</u></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტრენინგიდან 1 წლის შემდეგ იმ მონაწილეთა 42%-მა, რომლებიც საერთოდ არ ზოგავდნენ ფულს, დაიწყეს ფულის დაზოგვა.</li> <li>• მონაწილეთა 40%-ის დანაზოგები 20%-ით გაიზარდა</li> </ul>	<p>გამოკითხვა</p>	<p>ვერ მოხერხდა ტრენინგის ყველა მონაწილეზე ინფორმაციის შეგროვება</p>	<p>ტრენინგიდან 1 წლის შემდეგ</p>	<p>პროგრამის მენეჯერი და მკვლევარი</p>



დანართი 2. ლოგიკური მოდელი (ცარიელი ფორმა)



<p><b>რესურსები</b></p> <p>ადამიანური რესურსი: ფინანსური რესურსი: მატერიალური რესურსი:</p>
<p><b>აქტივობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>•</li> <li>•</li> </ul>
<p><b>პროდუქტი/მომსახურება</b></p>
<p><b>შედეგები</b></p>
<p><b>გრძელვადიანი მიზნები</b></p>



## დანართი 3. მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის ინფორმაციის შეგროვების მეთოდების აღწერა

### 1. ფოკუს ჯგუფები

ფოკუს ჯგუფი წარმოადგენს პროცესს, რომლის ფარგლებშიც, კონკრეტული თემის განხილვის მიზნით, ხდება ადამიანთა მცირე ჯგუფის შეკრება და, ფასილიტატორის ჩართულობით, დისკუსიის გამართვა. ინტერვიუსგან განსხვავებით, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთში განიხილონ ესა თუ ის საკითხი, რის შედეგადაც გროვდება ხარისხობრივი ინფორმაცია.

ფოკუს ჯგუფი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც გვსურს უშუალოდ პროგრამის მონაწილეებისაგან მივიღოთ პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, მონაწილეთა განწყობებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ამასთან, ფოკუს ჯგუფი გვეხმარება მოვახდინოთ იმ აქტივობების იდენტიფიცირება, რომლებსაც მონაწილეებმა წარმატებით გაართვეს თავი, და განვიხილოთ გამოწვევები, რომლებიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა. ფოკუს ჯგუფი განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როდესაც პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გუნდურად მუშაობენ.

**ინფორმაციის ტიპი:** ხარისხობრივი ინფორმაცია, მონაწილეთა განწყობები და დამოკიდებულებები.

**გამოყენების დრო:** ფოკუს ჯგუფი შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის დაწყებამდე – სამიზნე ჯგუფის საჭიროებების, ასევე, პროგრამის ფორმის, შინაარსისა და სხვა პარამეტრების შესაბამისობის განსაზღვრისთვის.
- პროგრამის მიმდინარეობის პროცესში - მონიტორინგის მიზნებისათვის, რათა მოხდეს იმ გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამის დანარჩენ ნაწილში.
- პროგრამის დასრულების შემდეგ - შეფასების მიზნებისათვის, რათა დადგინდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა დაგეგმილ მიზნებთან.

**რა უნდა გავითვალისწინოთ:**

- მონაწილეები რომელიმე, წინასწარ განსაზღვრული პარამეტრით უნდა ერთიანდებოდნენ - მაგალითად, ასაკის მიხედვით.
- მნიშვნელოვანია მონაწილეების ნდობის მოპოვება, და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა, რათა ხელი შევუწყოთ მაქსიმალურ გახსნილობასა და გულახდილობას;
- ფოკუს ჯგუფში მუშაობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს ახალგაზრდებში და 2 საათს მოზრდილებში;
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ადამიანს;
- ფოკუს ჯგუფის მნიშვნელოვანი კომპონენტია ფასილიტატორი, რომელიც მართავს დისკუსიას და ინიშნავს დეტალებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას პროგრამის შეფასებისათვის;



- ფასილიტატორი უნდა შეეცადოს, რომ არც ერთი მონაწილის მოსაზრება არ დაიკარგოს და არ გადაიფაროს სხვა, უფრო აქტიური მონაწილის მოსაზრების მიერ.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** ფინანსური განათლების საზაფხულო ბანაკი.

## 2. ჩაღრმავებული ინტერვიუ

ჩაღრმავებული ინტერვიუ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს სახეა, რომელიც საშუალებას აძლევს როგორც ინტერვიუერს, ასევე რესპონდენტს განიხილონ საკითხების ფართო წრე.<sup>6</sup> ფოკუს ჯგუფის მსგავსად, ჩაღრმავებული ინტერვიუები გამოიყენება მაშინ, როდესაც გვსურს მივიღოთ დეტალური ინფორმაცია პროგრამის მონაწილეთა განწყობების/დამოკიდებულებების შესახებ. ინტერვიუს დროს, ცალკეულ რესპონდენტებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, ღიად და დეტალურად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება, ვიდრე - ფოკუს ჯგუფში; ამის საპირისპიროდ, ფოკუს ჯგუფი შეხედულებების მეტ მრავალფეროვნებას გვთავაზობს. ინტერვიუ შესაძლოა ჩატარდეს როგორც პროგრამის მონაწილეთა, ასევე ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუ უმეტესად გამოიყენება იმ შეთხვევაში, როდესაც მონაწილეთა რაოდენობა მცირეა.

**ინფორმაციის ტიპი:** ხარისხობრივი ინფორმაცია, მონაწილეთა განწყობები და დამოკიდებულებები.

**გამოყენების დრო:** ჩაღრმავებული ინტერვიუ შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის დასაწყისში - რათა დეტალური ინფორმაცია შეგროვდეს პროექტის ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საწყისი ცოდნის, შეხედულებების, ქცევებისა და მოლოდინების შესახებ.
- პროგრამის მიმდინარეობის პროცესში - მონიტორინგის მიზნებისათვის, რათა მოხდეს იმ გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამის დანარჩენ ნაწილში.
- პროგრამის დასრულების შემდეგ - შეფასების მიზნებისათვის, რათა დადგინდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა დაგეგმილ მიზნებთან.

**უნდა გავითვალისწინოთ:**

- უმჯობესია, გამოყენებულ იქნას ნახევრად სტრუქტურირებული ტიპის ინტერვიუ, რაც ინტერვიუერს საშუალებას აძლევს მიჰყვეს ინტერვიუს შედგენილ განრიგს, თუმცა საჭიროებისამებრ შეცვალოს განსახილველი თემები.
- ინტერვიუს რეკომენდირებული ხანგრძლივობაა არაუმეტეს 45 წუთი.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** „სკოლა-ბანკი“

<sup>6</sup> სტრუქტურირებული ინტერვიუ გულისხმობს, რომ ინტერვიუს ყველა შეკითხვა და შეკითხვების რიგითობა წინასწარაა განსაზღვრული, და საერთოა ყველა რესპონდენტისთვის, არასტრუქტურირებული ინტერვიუ კი ინტერვიუერს საშუალებას აძლევს სიტუაციიდან და რესპონდენტიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს შეკითხვების ფორმა და რიგითობა, რაც ინტერვიუს მეგობრულ ტონს ანიჭებს. თუმცადა, ინტერვიუს ამ სტილს აკლია სიზუსტე და სანდოობა.



### 3. გამოცდა/ტესტირება

გამოცდა/ტესტირება ინფორმაციის შეგროვების ისეთი მეთოდია, რომლის მთავარ მიზანსაც პროექტის მონაწილეთა ფინანსური განათლების დონის ტესტირების გზით შემოწმება წარმოადგენს. რეკომენდირებულია, რომ ტესტირება ჩატარდეს პროგრამის დაწყებამდე, რათა მივიღოთ ფინანსური განათლების საწყისი დონის შესახებ საბაზისო ინფორმაცია, მაგრამ ასევე, პროგრამის დასრულების შემდეგ. ტესტირების შედეგების ანალიზი გვაჩვენებს, თუ რამდენად შეიცვალა ბენეფიციართა ფინანსური განათლების დონე. ტესტირება უმეტესად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა დიდია, და ადმინისტრაციულად შეუძლებელია მათი ინდივიდუალური გამოკითხვა.

**ინფორმაციის ტიპი:** რაოდენობრივი ინფორმაცია.

**გამოყენების დრო:** ტესტირება შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის დაწყებამდე - საწყისი, საბაზისო მონაცემების მოპოვების მიზნით, რათა პროგრამის დასასრულს მოხდეს მიღწეული შედეგების გაზომვა;
- პროგრამის მიმდინარეობის პროცესში - შეფასების მიზნებისთვის, რათა პროგრამის მიმდინარეობის პროცესშივე განისაზღვროს პროგრამის ეფექტურობა, და საჭიროებისამებრ, განხორციელდეს ცვლილებები (როგორც პროგრამის შინაარსის, ისე ფორმის, მიწოდების არხების, და სხვა პარამეტრების მიხედვით);
- პროგრამის დასრულების შემდეგ - შეფასების მიზნებისათვის, რათა დადგინდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა დაგეგმილ მიზნებთან.

**უნდა გავითვალისწინოთ:**

- თუ გვსურს შევაფასოთ პროგრამის გავლენა მონაწილეთა ცოდნაზე, მაშინ რეკომენდირებულია ტესტირება ჩატარდეს არამხოლოდ პროგრამის დასაწყისში და უშუალოდ პროექტის დასრულების შემდეგ, არამედ განმეორდეს პროგრამის დასრულებიდან 6-8 თვეშიც, რათა დადგინდეს, თუ რამდენად აითვისეს, და შეინარჩუნეს ბენეფიციარებმა მიღებული ცოდნა. პროგრამის სპეციფიკიდან და არსებული რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური ტესტირების ჩატარებაც.
- თუ გვსურს შევაფასოთ პროგრამის გავლენა მონაწილეთა ქცევაზე, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი პოზიტიური ქცევა პროგრამის დასრულებისთანავე შესაძლოა გამოვლინდეს, ზოგიერთის გამოვლენას კი, როგორცაა, მაგალითად, ფორმალური ფინანსური პროდუქტების აქტიური გამოყენება, გარკვეული დრო შესაძლოა დასჭირდეს. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია განმეორებითი კვლევის პროგრამის დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ ჩატარება - თუმცა ამ შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს მონაცემების შეგროვების მეთოდის ცვლილება, ასევე, განმეორებითი კვლევის ჩატარებამდე პერიოდის 1 წლამდე გაზრდა.
- საყურადღებოა დამოკიდებულებების ცვლილებაც - ბენეფიციართა ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლოა არსებობდეს რიგი წინააღმდეგობებისა ბენეფიციართა მხრიდან, რაც ხელს უშლის დამოკიდებულებების მყისიერ ცვლილებას.



დამოკიდებულებების ნაწილი ფინანსური ცოდნის გაუმჯობესების პარალელურად შეიცვლება, ნაწილი კი - მხოლოდ ქცევითი ცვლილებების შემდგომ.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** „სკოლა-ბანკი“, ფინანსური განათლების ტრენინგი რეგიონებში, საზაფხულო ბანაკი, ა.შ.

**მაგალითი:** ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფინანსური განათლების პროგრამის „Money Matters“<sup>7</sup>-ის კომიტეტმა პროგრამის შეფასების მიზნით გადაწყვიტა გამოეყენებინა ტესტირების მეთოდი, რაც გულისხმობდა სტანდარტული ტესტირების ჩატარებას არამხოლოდ პროგრამის დაწყებამდე და პროგრამის დასრულების შემდეგ, არამედ დამატებით ტესტირებას პროგრამის დასრულებიდან სამი თვის შემდეგაც. დამატებითი ტესტირების მიზანი იყო პროგრამის ავტორებს შეეფასებინათ მოხდა თუ არა პროგრამის შედეგად მიღებული ცოდნის შენარჩუნება, ასევე, რამდენად აისახა მიღებული ცოდნა ბენეფიციართა ფინანსურ ქცევაში.

#### 4. დაკვირვება

დაკვირვება ინფორმაციის შეგროვების ისეთი მეთოდია, რომლის დროსაც ხდება პროგრამის თანმდევ პროცესებზე, ადამიანების ქცევებსა და გარემოს მახასიათებლებზე დაკვირვება. დაკვირვება შეიძლება იყო აშკარა ან ფარული. აშკარა დაკვირვების შემთხვევაში, მონაწილეებმა იციან რომ აკვირდებიან, ფარული დაკვირვება კი მონაწილეებისგან ფარულად მიმდინარეობს.

დაკვირვების მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გვსურს მივიღოთ დეტალური და ტექნიკური ინფორმაცია პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. მაგალითად, დამკვირვებელმა შეიძლება შეაფასოს რამდენად შეესაბამება ტრენინგის ოთახის აღჭურვილობა წარსადგენი მასალის მახასიათებლებს. დაკვირვება განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც არ გვაქვს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უშუალოდ მონაწილეებისაგან.

ამასთან, დაკვირვება გვადლევს შესაძლებლობას შევაგროვოთ რეალური და შეუნიღბავი ინფორმაცია კვლევის სუბიექტების ქცევის შესახებ.

დაკვირვება მონაცემების შეგროვების რთული მეთოდია, განსაკუთრებით, ადმინისტრირების კუთხით. ის დიდ დროით და ფინანსურ რესურსს მოითხოვს.

**ინფორმაციის ტიპი:** ხარისხობრივი ინფორმაცია, რაოდენობრივი ინფორმაცია.

**გამოყენების დრო:** დაკვირვება შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის მიმდინარეობისას - მონიტორინგის მიზნებისათვის, რათა შეფასდეს, თუ რამდენად გეგმის მიხედვით და წარმატებით ხდება პროგრამის დანერგვა (მაგალითად, რამდენად ესწრებიან ტრენინგს ბენეფიციარები, რამდენად ოპტიმალურად ნაწილდება

<sup>7</sup> საუბარია Hanson McClain's Money Matters აკადემიაზე, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალას საპენსიო სქემების შესახებ. იხ. მეტი ინფორმაცია შემდეგ ბმულზე: <http://podcast.moneymatters.com/>



დრო და სხვა რესურსი), როგორც ბენეფიციარების მხრიდან პროგრამის შეფასება, რა არის პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ა.შ.

**უნდა გავითვალისწინოთ:**

- დაკვირვებას უნდა ჰქონდეს კონკრეტული, ნათლად გამოკვეთილი მიზანი, რაც გააადვილებს ინფორმაციის შეგროვების პროცესს. მაგალითად, თუ გვინტერესებს, რამდენად ეფექტიანად ხორციელდება ფინანსური განათლების დანერგვა ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მაშინ უნდა დავაკვირდეთ ერთი მხრივ, მოსწავლეების ჩართულობას სასწავლო პროცესში და მეორე მხრივ, მასწავლებლების უნარს, გასაგებად და საინტერესოდ გადმოსცენ სასწავლო მასალა.
- უნდა არსებობდეს მონაცემების შეგროვების მდგრადი სისტემა, რათა ეს პროცესი დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობდეს. ამასთან, დაკვირვების პროცესში, უნდა ხდებოდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შესავსები ფორმების გამოყენება.
- წინასწარ უნდა იქნეს შერჩეული დაკვირვების ადგილები. შედეგების განზოგადებისათვის აუცილებელია, რომ შერჩევა იყოს წარმომადგენლობითი. მაგალითად, ფინანსური განათლების ეროვნული სასწავლო გეგმების ფარგლებში დანერგვის პროცესის მონიტორინგისათვის, აუცილებელია დავაკვირდეთ არამხოლოდ თბილისის სკოლებს, არამედ რეგიონის სკოლებსაც.
- დამკვირვებლები საჭიროებენ სპეციალიზებულ გადამზადებას. დაკვირვების შემთხვევაში მთავრი მოთამაშე სწორედ დამკვირვებელია.
- სწორად უნდა იქნას შერჩეული დაკვირვების დრო.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** ფინანსური განათლების ტრენინგი რეგიონებში.

**5. გამოკითხვა**

გამოკითხვა ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია, რომელიც გამოიყენება პროგრამის მონაწილეთა როგორც ცოდნის, ისე ქცევებისა და დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვა გამოიყენება მოცულობითი პროგრამების ფარგლებში, რომელთა სამიზნე აუდიტორიასაც მოსახლეობის ფართო ფენები წარმოადგენს. ეს მეთოდი საკმაოდ დიდ რესურსებთანაა დაკავშირებული.

**ინფორმაციის ტიპი:** რაოდენობრივი ინფორმაცია, ხარისხობრივი ინფორმაცია

**გამოყენების დრო:** ტესტირების მსგავსად, გამოკითხვა შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის დაწყებამდე - საწყისი, საბაზისო მონაცემების მოპოვების მიზნით, რათა პროგრამის დასასრულს მოხდეს მიღწეული შედეგების გაზომვა;
- პროგრამის მიმდინარეობის პროცესში - შეფასების მიზნებისთვის, რათა პროგრამის მიმდინარეობის პროცესშივე განისაზღვროს პროგრამის ეფექტურობა, და საჭიროებისამებრ, განხორციელდეს ცვლილებები (როგორც პროგრამის შინაარსის, ასევე ფორმის, მიწოდების არხების, და სხვა პარამეტრების მიხედვით);



- პროგრამის დასრულების შემდეგ - შეფასების მიზნებისათვის, რათა დადგინდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა დაგეგმილ მიზნებთან.

**უნდა გავითვალისწინოთ:**

- ფართომასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარებისათვის აუცილებელია კვლევითი ორგანიზაციების ჩართულობა, რათა მოხდეს ხარისხიანი ინფორმაციის შეგროვება.
- გამოკითხვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30-40 წუთს.
- საწყის ეტაპზე უნდა განისაზღვროს შერჩევის ზომა და მხედველობაში უნდა მივიღოთ გამოხმაურების დონე. თუ გამოხმაურების დონე 60%-ზე ნაკლებია, გამოკითხვის შედეგები სანდოდ ვერ ჩაითვლება.

**მაგალითი:** 2016 წლის სეპ-ისა და EFSE DF-ის მიერ, OECD/INFE-ს მეთოდოლოგიის მიხედვით ჩატარებული ფინანსური განათლებისა და ჩართულობის კვლევა. OECD-მ საქართველოში შეგროვებული მონაცემები საერთაშორისო, შედარებით ანგარიშში გამოიყენა<sup>8</sup>.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** ფინანსური განათლების საკითხების ეროვნულ სასწავლო გეგმაში ინტეგრაცია.

**6. ადმინისტრაციული ინფორმაციის დამუშავება**

ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასებისთვის კიდევ ერთი გავრცელებული საშუალება საერთაშორისო და ადგილობრივი მონაცემთა ბაზებიდან ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებაა. დანართ 4-ში მოცემულია ამ ტიპის მონაცემთა ბაზების რამდენიმე მაგალითი. მონაცემთა ბაზები რაოდენობრივ ინფორმაციას გვაწვდის, თუმცა არ ითვალისწინებს თვისებრივ მახასიათებლებს.

**ინფორმაციის ტიპი:** რაოდენობრივი ინფორმაცია.

**გამოყენების დრო:** ადმინისტრაციული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის დაწყებამდე - საწყისი, საბაზისო მონაცემების მოპოვების მიზნით, რათა პროგრამის დასასრულს მოხდეს მიღწეული შედეგების გაზომვა;
- პროგრამის დასრულების შემდეგ - შეფასების მიზნებისათვის, რათა დადგინდეს პროგრამის შედეგების შესაბამისობა დაგეგმილ მიზნებთან.

**უნდა გავითვალისწინოთ:**

- ადმინისტრაციული მონაცემები შესაძლოა პირდაპირ არ ეხმიანებოდეს კვლევის ამოცანას და შესაბამისად, მისი გამოყენება არ იყოს საკმარისი.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** ფინანსური განათლების სტრატეგიის ფარგლებში მთლიანი მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის შესაფასებლად.

<sup>8</sup> OECD/INFE (2016) *International Survey of Adult Financial Literacy Competencies*, available from: <http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/OECD-INFE-International-Survey-of-Adult-Financial-Literacy-Competencies.pdf>





## 7. დღიურების წარმოება

პროგრამის მონაწილეთა ჩანაწერები პროგრამის შეფასებისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება აღმოჩნდეს. დღიურების გამოყენება იძლევა ინფორმაციას მონაწილეთა განწყობების/დამოკიდებულებების შესახებ, თუმცა შეზღუდულად გვაძლევს რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების საშუალებას. ჩანაწერებით მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამის შემდგომი განვითარებისთვისაც.

**ინფორმაციის ტიპი:** ძირითადად, ხარისხობრივი ინფორმაცია. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია რაოდენობრივი ინფორმაციის მიღებაც.

**გამოყენების დრო:** დღიური შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- პროგრამის მიმდინარეობის პროცესში - შეფასების მიზნებისთვის, რათა განისაზღვროს პროგრამის ეფექტურობა, და საჭიროებისამებრ, განხორციელდეს ცვლილებები (როგორც პროგრამის შინაარსის, ისე ფორმის, მიწოდების არხების, და სხვა პარამეტრების მიხედვით).

**უნდა გავითვალისწინოთ:**

- დღიურის წარმოების პროცესმა შესაძლოა შეცვალოს ინდივიდის ქცევა; ამასთან, რესპონდენტი შესაძლოა არ იყოს ბოლომდე გულწრფელი დღიურის შევსებისას, ან არარეგულარულად ავსებდეს მას, რაც ამცირებს შეგროვებული ინფორმაციის სანდოობას.

**აქტივობა, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს მეთოდი:** საზაფხულო ბანაკი ფინანსური განათლების თემაზე.

**მაგალითი:** 2009 წელს, Bankable Frontiers Associates-ის მკვლევარმა დერილ კოლინსმა, კოლეგებთან ერთად, ბანგლადეშში, ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში ღარიბი მოსახლეობის ფინანსური ქცევების შესასწავლად, სწორედ დღიურების წარმოების მეთოდი გამოიყენა, კვლევის შედეგები კი „Portfolios of the Poor” გამოცემაში აღბეჭდა.<sup>9</sup> 2009 წლიდან დღემდე მსგავსი კვლევა არაერთ ქვეყანაში განხორციელდა. დღიურების წარმოება მიიჩნევა კვლევის ინოვაციურ მეთოდად, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მრავალფეროვანი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება შინამეურნეობების ფინანსური ქცევების შესახებ.<sup>10</sup>

<sup>9</sup> იხ. <http://www.portfoliosofthepoor.com/index.asp>

<sup>10</sup> იხ. <http://financialdiaries.com/about>



## დანართი 4. მონაცემთა ბაზები და დამხმარე ლიტერატურა

### მონაცემთა ბაზები

#### 1. [Global Findex](#)

მსოფლიო ბანკის The Global Findex მოიცავს ინფორმაციას ფინანსური ჩართულობის შესახებ მსოფლიოს 140 ქვეყნაში. მონაცემები მიღებულია ჯამში, 150,000 ადამიანის გამოკითხვის შედეგად. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემთა ბაზა ბოლოს 2011 წელს განახლდა.

მონაცემთა ბაზა გვთავაზობს მონაცემებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

<p><b>ანგარიშები ფინანსურ ორგანიზაციაში</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიშებისა და სადებეტო ბარათების რაოდენობა და გამოყენების სიხშირე დემოგრაფიულ ჯგუფებში</li> <li>• ATM-ებით სარგებლობის მაჩვენებელი</li> </ul>	<p><b>საკრედიტო პროდუქტები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკრედიტო ბარათებით სარგებლობის მაჩვენებელი, კრედიტის აღების მიზნები და კრედიტის წყაროები დემოგრაფიულ ჯგუფებში.</li> </ul>
<p><b>გადარიცხვები და დისტანციური სერვისები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შიდა გადარიცხვები, და მათი მიზნობრიობა დემოგრაფიულ ჯგუფებში</li> <li>• მობილური ანგარიშებით სარგებლობა</li> </ul>	<p><b>დანაზოგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზოგვის ფორმები, მიზნები და მოცულობა და დემოგრაფიულ ჯგუფებში</li> </ul>

#### 2. [IMF Financial Access Survey \(FAS\)](#)

საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ფინანსებზე წვდომის კვლევა“ (Financial Access Survey) ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი მონაცემთა ბაზაა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ფინანსურ პროდუქტებზე წვდომისა და მათი გამოყენების შესახებ. მონაცემები 189 ქვეყნიდან გროვდება, მონაცემთა ბაზა ყოველწლიურად ახლდება, მონაცემთა წყაროს კი ფინანსური მომსახურების მიმწოდებლები წარმოადგენენ. FAS მოიცავს ფინანსური ჩართულობის 47 ინდიკატორს, რომლებიც განხილულია ქვეყნის მშპ-სთან, ფართობთან და ზრდასრული მოსახლეობის მოცულობასთან მიმართებაში.

#### 3. [OECD PISA](#)

The Programme for International Student Assessment (PISA) OECD-ს საერთაშორისო კვლევაა, რომლის მიზანსაც, 15 წლის მოსწავლეების ცოდნისა და უნარების ტესტირების გზით, მსოფლიოს მასშტაბით საგანმანათლებლო სისტემების შეფასება წარმოადგენს.

PISA-ს ფარგლებში 2015 წელს მსოფლიოს 72 ქვეყნიდან ნახევარი მილიონი ბავშვი გამოიკითხა.<sup>11</sup> ტესტირება მოიცავს შეკითხვებს შემდეგი მიმართულებებით: მეცნიერება,

<sup>11</sup> იხ. PISA-ს 2015 წლის საერთაშორისო გამოკითხვის შედეგები შემდეგ ბმულზე: <https://www.oecd.org/pisa/pisa-2015-results-in-focus.pdf>



მათემატიკა, წიგნიერება. PISA-ს პროგრამის ერთ-ერთი ახალი კომპონენტია მოზარდების ფინანსური განათლების შემოწმებაც.<sup>12</sup>

PISA-ს საერთაშორისო გამოკითხვაში საქართველომ ორჯერ - 2009 და 2015 წლებში - მიიღო მონაწილეობა. 2018 წელს საქართველო შეუერთდება ფინანსური განათლების შეფასების კომპონენტსაც.

#### 4. World Development Indicators

მსოფლიო ბანკი World Development Indicator-ში პერიოდულად აქვეყნებს მონაცემებს კომპანიების ფორმალურ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. საქართველოს შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია 2002 წლიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების განახლება ყოველწლიურად არ ხდება; მონაცემები საშუალოდ 5 წლიანი ინტერვალით ქვეყნდება.

#### 5. Doing Business – Getting Credit


მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს Doing Business სტატისტიკას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტაც კრედიტზე ხელმისაწვდომობაა (Getting Credit). აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ კომპლექსურია და შემდეგი სახის ინფორმაციას აერთიანებს: მსესხებლისა და გამსესხებლის სამართლებრივი უფლებები, საკრედიტო ბიუროს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, საკრედიტო ბიუროში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების რაოდენობა, და ფორმალურ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

---

<sup>12</sup> იხ. PISA-ს 2015 წლის მოსწავლეების ფინანსური განათლების კვლევის შედეგები შემდეგ ბმულზე: [http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/education/pisa-2015-results-volume-iv\\_9789264270282-en#.WYdLuIiGM2x](http://www.keepeek.com/Digital-Asset-Management/oecd/education/pisa-2015-results-volume-iv_9789264270282-en#.WYdLuIiGM2x)



### დამხმარე ლიტერატურა:

-  [“Evaluating financial education programmes”, OECD/INFE Stocktake and Framework, 2013](#)
-  [“Detailed Guide to Evaluating Financial Education Programmes”, OECD/INFE, 2010](#)
-  [“INFE High-Level Principles For The Evaluation Of Financial Education Programmes”, OECD/INFE, 2012](#)
-  [“Measuring Financial Capability: Questionnaires and Implementation Guidance for Low- and Middle-Income Countries”, Financial literacy & Education, Russia Trust Fund](#)
-  [“Monitoring and Evaluation of FL programmes in Uganda: A Practical Guide for Implementers”, Bank of Uganda](#)
-  [“Rigorous evaluation of financial capability strategies: Why, when and how”, Australian Securities & Investments Commissions](#)
-  [“International Survey of Adult Financial Literacy Competencies”, OECD/INFE, 2016](#)
-  [„Improving financial education effectiveness through behavioural economics“, OECD/Financial Literacy & Education, Russia Trust Fund, 2013](#)
-  [Lusardi, A. \(2008\). Financial literacy: an essential tool for informed consumer choice? \(No. w14084\). National Bureau of Economic Research.](#)
-  [Lusardi, A., & Mitchell, O. S. \(2007\). Baby boomer retirement security: The roles of planning, financial literacy, and housing wealth. \*Journal of monetary Economics\*, 54\(1\), 205-224.](#)
-  [Collins, J. M., & O’Rourke, C. \(2009\). Still holding out promise: a review of financial literacy education and financial counselling studies. A report for the Annie E. Casey Foundation.](#)
-  [Collins, D., Morduch, J., Rutherford, S., and Ruthven, O., \(2009\). \*Portfolios of the Poor: How the World's Poor Live on \\$2 a Day\*. Princeton University Press.](#)